



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება № 39/3 — 14 — 02 — 2017 წ.

„სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 23 დეკემბრის №253/3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 15 დეკემბრის №65-ის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. „სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 23 დეკემბრის №253/3 ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ) გიორგი ხატიძე“.

2. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე